სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

პრესრელიზი

04.11.2015წ.

საკონტაქტო პირი: ეკა გაბადაძე
კომუნიკაციების მენეჯერი
ელ.ფოსტა: egabadadze@spa.ge
ტელ: 577244454

WTO-ს რეგიონალური შეხვედრა ვენაში

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე ლევან რაზმაძე და თავმჯდომარის მოადგილე კახა დემეტრაშვილი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) ყოველწლიურ რეგიონალურ შეხვედრებში მონაწილეობდნენ, რომელიც ოქტომბრის ბოლოს ქ. ვენაში გაიმართა.

სამუშაო შეხვედრები ორგანიზებული იყო WTO-ს სამთავრობო შესყიდვების თაობაზე ხელშეკრულების კომიტეტის მიერ. რამდენიმე დღის განმავლობაში პრეზენტაციებს უძღვებოდნენ ზემოაღნიშნული კომიტეტისა და სამდივნოს მაღალი რანგის წარმომადგენლები, აგრეთვე, აშშ-ს, ავსტრიის, EBRD-სა და OECD-ს საერთაშორისო ექსპერტები.

ღონისძიებაში მონაწილობდნენ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიის რეგიონის ქვეყნების, ცენტრალური აზიის, მათ შორის ირანისა და ავღანეთის შესაბამისი უწყებების პირველი პირები.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აქტიურად იყო ჩართული სამუშაო შეხვედრებსა და დისკუსიებში.

პროგრამის შესაბამისად, კახა დემეტრაშვილმა წარადგინა პრეზენტაცია საქართველოში მოქმედი თანამედროვე e-Procurement სისტემისა და ბოლო ერთი წლის განმავლობაში დანერგილი ახალი ელექტრონული სერვისების თაობაზე.